სამშობიარო „იმედის კლინიკა"
ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. № 10 ა

MATERNITY HOME "IMEDIS CLINICAL"
10 a KING MIRIAN'S STREET, TBILISI, GEORGIA

TEL: 223-84-80

№ 723/723

17/12/2015

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას

ბატონო ზურაბ,

ნება მომეცით, სამშობიარო სახლი **„იმედის კლინიკის"** მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით, კიდევ ერთხელ დავადასტურო გულწრფელი პატივისცემა **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის** - საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების საუკუნეს მიახლოებული ისტორიის მქონე ტრადიციული კერის – აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიმართ და გამოვხატო სრული მხარდაჭერა უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ინიციატივებსა და აქტივობებთან მიმართებით.

მადლობას მოგახსენებთ „იმედის კლინიკის" მიერ ადრე შემოთავაზებული წინადადებების რეალიზებაში მხარდაჭერისათვის (ვგულისხმობ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების დასაქმებას კლინიკაში, „იმედის კლინიკის კლუბის" ჩამოყალიბებას და იმედის კლინიკის სახელობის სტიპენდიის დაწესებას მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტისათვის).

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო „იმედის კლინიკის კლუბის" წევრ–სტუდენტთა მაღალი აკადემიური მზაობა და პროფესიული მოტივაცია, აქტიური და ეფექტური ჩართულობა კლინიკის მუშაობაში, რაც ამ მიმართულებით გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ გვიბიძგებს.

ბატონო ზურაბ,

ამჯერად შემოვდივართ წინადადებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის, ასე ვთქვათ, გაფართოებული სამედიცინო მომსახურების შემოთავაზების შესახებ „იმედის კლინიკის" პროფილური სპეციალიზაციის ფარგლებში, კერძოდ:

„იმედის კლინიკა“ გამოთქვამს სურვილს და მზადყოფნას, 2016 წლის 1 იანვრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს კლინიკის ბაზაზე გაუწიოს ნებისმიერი გეგმიური და ურგენტული სამეანო და გინეკოლოგიური მომსახურება მათი ოფიციალური (საყოველთაო ან სადაზღვევო კომპანიის) სადაზღვევო პაკეტის ღირებულებით გათვალიწინებული სამედიცინო სერვისების ზემოთ დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე.

თქვენს მიერ ამ შემოთავაზების გაზიარების შემთხვევაში, მისი შეუფერხებლად რეალიზებისათვის, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება გარკვეული კონსულტაციები ორგანიზაციული და სამართლებრივი ასპექტების დაზუსტებისათვის.

მზად ვართ ამ მიმართულებით თანამშრომლობისათვის სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან, როგორც თქვენ ამას საჭიროდ მიიჩნევთ.

ღრმა პატივისცემით,

IMEDIS CLINICAL LTD

დავით კობეშავიძე,

„იმედის კლინიკის“ დირექტორი,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

საპატიო დოქტორი

17/12//2015